საექსპერტო დასკვნა

ანგარიშზე:

“ქ. თბილისში, ჩარგლის ქუჩა №73-ში (ნაკვეთი №001.047) კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სასწავლო კორპუსის საინჟინრო გეოლოგიური დასკვნა”.

შპს "ატიკი"-ს თხოვნით ჩვენს მიერ 2014 წლის ნოემბერში შემოწმებული იქნა ქ. თბილისში, ნაძალადევის რაიონში ჩარგლის ქუჩა №73-ში (ნაკვეთი №001.015) კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სასწავლო კორპუსის მშენებლობასთან დაკავშირებით ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების ტექნიკური დოკუმენტაცია.

შემოწმების მიზანი:

დადგინდეს ქ. თბილისში, ჩარგლის ქუჩა №73-ში (ნაკვეთი №001.015) კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სასწავლო კორპუსის მშენებლობისათვის გამოყოფილ მოედანზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოების და მის საფუძველზე შედგენილი ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისობა საქართველოში მოქმედ სამშენებლო ნორმებთან, წესებთან და სახელმშიფო სტანდარტებთან.

საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები შესრულებულია შ.პ.ს. ”გეოგემა”-ს გეოლოგიური ჯგუფის მიერ 2014 წლის ნოემბერში. სამუშაოების უშუალო ხელმძღვანელი მ. ბაბილოძე.

საექსპერტოდ გადმოცემულია:

1. ანგარიშის ტექსტური ნაწილი აკრეფილი კომპიუტერზე ——————————————6გვ
2. ტექნიკური დავალება ——————————————————————————————1გვ
3. მოედნის ტოპოგეგმა ——————————————————————————————1ფურც
4. შურფების ლითოლოგიური სვეტები ——————————————————————1ფურც
5. მოედნის გეოლოგიური ჭრილი ——————————————————————————1ფურც

პროექტით საკვლევ მოედანზე უნდა აშენდეს 9 სართულიანი სასწავლო კორპუსი. შენობა გეგმაში სწორკუთხა ფორმისაა ზომებით 28.70X11.60. შენობა კონსტრუქციულად გადაწყვეტილია რკინაბეტონის კარკასში, შევსება იქნება ბეტონის ბლოკებით. რაც შეეხება საძირკვლის კონსტრუქციას და ჩაღრმავებას იგი გადაწყდა მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების გამოკვლევის შემდეგ. შენობის კლასი პასუხისმგებლობის მიხედვით მეორეა.

მოედნის საინჟინრო გეოლოგიური პირობების დასადგენად რაიმე გამონამუშევრების გაყვანა საჭიროდ არ იქნა მიჩნეული, რადგან მშენებლების მიერ უკვე ამოღებულ იყო 2 მეტრამდე სიღრმის შურფები, კლდოვან გრუნტში 0.5-1.5 მეტრით შეჭრით.

ჩატარებული სამოშაოების შედეგად მოედნის გეოლოგიური ჭრილი შემდეგნაირია:

ფენა –1 – ნაყარი;

ფენა –2 – გამოფიტული ქვიშაქვები და სუბარგილიტები.

ანგარიშში მოცემულია ძირითადი ქანების დახასიათება, რაც შეეხება მათ თვისებებს, ადგილზე იგი არ განსაზღვრულა ვინაიდან მათ მიერ ამავე ტერიტორიაზე ჩატარდა ადრე ძირითადი ქანების გამოკვლევა და ვინაიდან ქანები იდენტურია გამოყენებული იქნა ადრე ჩატარებული მასალა.

მოედნის ჰიდროგეოლოგიური პირობებიდან აღნიშნულია, რომ გრუნტის წყალი გამოკვლეულ სიღრმემდე არ დაფიქსირებულა.

დ ა ს კ ვ ნ ა

ქ. თბილისში, ჩარგლის ქ. №73-ში კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სასწავლო კორპუსის მშენებლობისათვის საინჟინრო გეოლოგიური სამუშაოები ჩატარებულია პროფესიულ დონეზე. ზოგიერთი შენიშვნა ჩვენს მიერ გამოთქმული შესრულებული სამუშაოების მიმართ, ავტორის მიერ მიღებული იქნა და ანგარიშში შეტანილია სათანადო კორექტივები. ამრიგად წარმოდგენილი ანგარიში შეიძლება საფუძვლად დაედოს მშენებლობის პროექტს საინჟინრო გეოლოგიურ ნაწილში.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების
მიმართულების ხელმძღვანელი,
ტ.მ.დ. პროფესორი /გ. ჭოხონელიძე/

CV - ყოთოთელიძე გუგა

გვარი, სახელი, მამის სახელი	ყოთოველიძე გუგა ილიას ძე
ბინის ტელეფონის ნომერი	ქ. თბილისი, კუკელიის №10, ბინა 25 ტელ.: 2-22-00-44
დაბადების თარიღი	1928 წლის 16 თებერვალი
განათლება	1945 წელს დავამთავრე ქ. თბილისის 12 ვაჟთა სკოლა, 1950 წელს დავამთავრე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტ საშენებლო ფაკულტეტი, მშენებელ-ინჟინერის სპეციალობით. 1972 წელს დავამთავრე ორჯონიკიძის ინსტიტუტი, ინჟინერ-გეოლოგის სპეციალობით.
მინიჭებული კვალიფიკაცია	1974 წელს ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი (დიპლომი) 1975 წელს პროფესორი საინჟინრო გეოლოგიაში (დიპლომი) 2000 წელს საქართველოს საინჟინრო აკადემიის - აკადემიკოსი
საქმიანობა და სამუშაო გამოცდილება	1950-1958 წწ. ჰიდროგეოლოგიის და მელიორაციის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი; 1958-1974წწ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ჰიდროგეოლოგიისა და საინჟინრო გეოლოგიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე საქმეთანარწილში; 1983 წლიდან დღემდე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გრუნტების მექანიკისა და ფუძე-საძირკვლების მიმართული ხელმძღვანელი
გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომები და პუბლიკაციები	გამოქვეყნებულია 93 სამეცნიერო შრომა, მათ შორის მონოგრაფ „საქართველოს ლიოსისებური გრუნტები" (1976წ) და „ამიერკავკასიის ლიოსისებური გრუნტები" (1988 წ.) მესვეულობით და ხელმძღვანელობით დაწერილია მეცნ იმენგრის პიდროელექტროსადგურის, ქ. თბილისის, ქ. რუსთავ საბურთალოს და ქ. ფოთის საინჟინრო „გეოლოგიურ პირობ გაცნობილი მაქვს 100-ზე მეტი სატექნიკური დასკვნა მშენებლობ დაკავშირებული იბერიის საინჟინრო-გეოლოგიურ პირობებზე მაქვს გამოგონებები გრუნტების გაძაგრებაზე. ვარ ავტორი სახელმძღვანელოებისა: „გრუნტების მექანიკა და ფუძე-საძირკვლები" 2005 წ. და „ საინჟინრო ნაგებობები" (2012 წ.). ვარ ავტორი სამშენებლო ნორმების: 2.02.01 – 2003 წ. „შენობა-ნაგებობათა ფუძე-საძირკვლები".
უცხო ენების ცოდნა	ქართული - მშობლიური; რუსული - კარგად; ინგლისური - ლექსიკონის დახმარებით

ДИПЛОМ
ДОКТОРА НАУК

МТН № 007499

Москва 23 ноября 1973 г.

Решением
Высшей Аттестационной Комиссии
от 21 ноября 1973 г. (протокол № 18)

Сохонадзе Луке Ивану

ПРИСУЖДЕНА УЧЕНАЯ СТЕПЕНЬ ДОКТОРА
ТЕХНИЧЕСКИХ НАУК

Председатель Высшей Аттестационной Комиссии

Ученый Секретарь Высшей Аттестационной Комиссии